



საქართველო  
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
საკრებულოს წევრი  
**GEORGIA**  
Rustavi Municipality City Assembly  
Member of Assembly

---

N 16248-02  
31/10/2019

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის  
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს  
ქალბატონ სოფიო კარანაძეს

ქალბატონო სოფიო,

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, საქართველოს ორგანული კანონის 88-  
ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ  
ანგარიშს.

გთხოვთ უზრუნველყოთ ინფორმაციის გამოქვეყნება.

დანართი: 6 ფურცელი

პატივისცემით,

ნინო ქავთარაძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო



საქართველო  
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
GEORGIA  
RUSTAVI CITY MUNICIPALITY COUNCIL

---

---

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული

მუშაობის შესახებ

ა ნ გ ა რ ი შ ი

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: ნინო ქავთარაძე

საანგარიშო პერიოდი: 01.11.2018 – 01.11.2019

თანამდებობა:

1. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მე-6 მოწვევის საკრებულოს წევრი;
2. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე;
4. საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი;
5. ევროპის საბჭოს კონგრესის მუდმივმოქმედი დელეგაციის ხელმძღვანელის მოადგილე.

კომისი(ებ)ის დასახელება:

1. საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრი;

2. საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი.

**ფრაქციის დასახელება:**

1. ფრაქცია „ქართული ოცნება“-ს წევრი.

**დროებითი სამუშაო ჯგუფი:**

1. „რუსთავის განვითარების, ტურიზმის და საერთაშორისო ურთიერთობების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის“ წევრი;

2. „ვეტერანების საკითხთა შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის“ წევრი.

❖ **საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:**

საკრებულოს სხდომების რაოდენობა: 26 სხდომა (12 რიგითი, 14 რიგგარეშე).

საკრებულოს სხდომებზე დასწრება: 20 სხდომა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულების პროცესში ჩატარებული საკრებულოს სხდომების რაოდენობა: 3 სხდომა.

ბიუროს სხდომების რაოდენობა: 26 სხდომა.

ბიუროს სხდომებზე დასწრება: 17 სხდომა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულების პროცესში ჩატარებული საკრებულოს ბიუროს სხდომების რაოდენობა: 4 სხდომა.

---

❖ **საკრებულოს სხდომებზე მიღებული სამართლებრივი აქტების რაოდენობა:**

74 დადგენილება .

162 განკარგულება.

---

❖ ქვემო ქართლის სამხარეო - საკონსულტაციო საბჭოს სხდომების რაოდენობა:

ჩატარდა - 7 სხდომა

---

❖ მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების, ფრაქციებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობა:

ა) კომისიები:

• სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია:

ჩატარდა - 16 სხდომა

დასწრება - 12 სხდომა

• სოციალურ საკითხთა კომისია:

ჩატარდა - 9 სხდომა

დასწრება - 5 სხდომა

---

ბ) ფრაქცია „ქართული ოცნება“ :

ჩატარდა - 1 სხდომა

---

გ) დროებითი სამუშაო ჯგუფები:

• გენდერული თანასწორობის საბჭო:

ჩატარდა - 2 სხდომა

დასწრება - 2 სხდომა

გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობდა: 2 სხდომა

• რუსთავის განვითარების, ტურიზმის და საერთაშორისო ურთიერთობების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფი:

ჩატარდა - 4 სხდომა

დასწრება - 2 სხდომა

- ვეტერანების საკითხთა შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფი:

ჩატარდა - 1 სხდომა

დასწრება - 1 სხდომა

---

❖ ჩართულობა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით მომუშავე სამუშაო ჯგუფებში, კომისიებსა და საბჭოებში:

1. „ელექტრონული საშუალებით სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით შექმნილი სატენდერო კომისიის“ წევრი;
  2. „მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების დროებითი სათათბირო-საკონსულტაციო ჯგუფის“ წევრი;
  3. „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური დახმარების გაწევის მიზნით შექმნილ სათათბირო-საკონსულტაციო ჯგუფის“ წევრი;
  4. „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ გრანტების მოძიება/მიღებასთან დაკავშირებული და ახალგაზრდა ინიციატორთა პროექტის თანადაფინანსებით პროგრამის სათათბირო-საკონსულტაციო ჯგუფის“ წევრი;
  5. „რუსთავი - თბილისის მარშრუტზე M2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის დადგენილი ფასის შესწავლის მიზნით, შესაქმნელი საბჭოს“ წევრი;
  6. „რუსთავი-თბილისის მარშრუტზე M3 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანებზე კონკურსის პირობების შემუშავების სამუშაო ჯგუფის“ წევრი;
  7. „უსახლკარო პირთა დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის კომისის“ წევრი;
  8. „საპატიო წოდების მინიჭებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის“ წევრი;
-

❖ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

- ა) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;
- ბ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დამტკიცება;
- გ) სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი 2018 – 2019 წლის ინფრასტრუქტურული პროექტები;
- დ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული პროექტების დამტკიცება;
- ე) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების მიზნით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცება და მიწის ნორმატიული ფასის დადგენა

---

❖ საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (ათეა) და ევროპის საბჭოს ადგილობრივ თვითმმართველობათა კონგრესის ეგიდით ჩატარებულ ღონისძიებებზე დასწრება:

1. ევროპის საბჭოს ადგილობრივ თვითმმართველობათა კონგრესის მონიტორინგის კომიტეტის კონგრესის სხდომა (ბელგრადი, სერბეთი; 7 თებერვალი);
  2. ონევროპის საბჭოს ადგილობრივ თვითმმართველობათა კონგრესის 36-ე სესია (საფრანგეთი, სტრასბურგი; 2-4 აპრილი);
  3. ადგილობრივი არჩევნების სადამკვირვებლო მისია თურქეთში (27-1 აპრილი);
  4. ევროპის საბჭოს ადგილობრივ თვითმმართველობათა კონგრესის მონიტორინგის კომიტეტის კონგრესის სხდომა (ოსლო, ნორვეგია; 3 ივლისი);
  5. ადგილობრივი არჩევნების წინა სადამკვირვებლო მისია მოლდოვის რესპუბლიკაში (2-4 ოქტომბერი);
  6. ადგილობრივი არჩევნების სადამკვირვებლო მისია მოლდოვის რესპუბლიკაში 17-21 ოქტომბერი
  7. კონგრესის 37-ე სესია (საფრანგეთი, სტრასბურგი; 29-31 ოქტომბერი);
  8. თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო (2 სხდომა).
-

❖ საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შედეგად განხორციელებული პროექტები:

- გაეროს მოსახლეობის ფონდის UNFPA-ს მიერ ორგანიზებული სასწავლო ტური (ბოსნია-ჰერცეგოვინა, 21-24 მაისი);

პროექტის ფარგლებში შევიმუშავეთ ხანდაზმულთა ხელშეწყობის პოლიტიკის დოკუმენტი, შეიქმნა სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც გულისხმობს 4 საპილოტე მუნიციპალიტეტში და მათ შორის რუსთავში ჯანსაღი დაბერების ცენტრის გახსნას.

- ჩემი ინიციატივით, გენდერული თანასწორობის საერთაშორისო პლატფორმასთან CEMR თანამშრომლობის ფარგლებში საერთაშორისო კონფერენცია, რომლის ფარგლებში რუსთავის მუნიციპალიტეტმა ხელი მოაწერა გენდერული თანასწორობის ევროპულ ქარტიას.
- ჩემი ინიციატივით, ამერიკის საელჩოს და ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერით ჩატარდა ფორუმი - „წარმატებული ქალები ქალაქის წარმატებისთვის“.
- რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გავითვალისწინეთ „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროგრამა“, რომლის ფარგლებში შემავალი პროექტები ორიენტირებულია ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებასა და მეწარმეობის განვითარებაზე. წლის მანძილზე ჩართული ვიყავი პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დაგეგმვა-განხორციელებაში.

---

❖ ინიციატივები:

- ქალაქ რუსთავში არსებული კომუნალების ქუჩისათვის რუსთაველი ქართველი ალპინისტი ქალის მარიამ ტყავაძის სახელის მინიჭება.

---

❖ საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა:

საკრებულოს წევრის საქმიანობა წარიმართება საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2014 წლის 4 აგვისტოს N1 დადგენილებით დამტკიცებული „რეგლამენტით“ და სხვა ნორმატიული აქტებით.

საანგარიშო წლის მანძილზე აქტიურად ვიყავი ჩართული სხვადასხვა საგანმანათლებლო, კულტურული თუ სოციალური პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში. ასევე ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა და ტრენინგებში.

რეგულარულად მქონდა შეხვედრები როგორც სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან ასევე მოსახლეობასთან.

წლის მანძილზე ყოველთვის ვმონაწილეობდი ქალაქ რუსთავში არსებული პრობლემების განხილვასა და მათი მოგვარების მიზნით განხორციელებულ საქმიანობაში.

აქტიურად ვიყავი ჩართული საბიუჯეტო პროცესებში და ვფიქრობ მომავალი წლის ბიუჯეტი მეტად იქნება მორგებული მოსახლეობის საჭიროებებზე და ქალაქის განვითარება-გაძლიერებაზე.